შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ 9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა 9
3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა . 26
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 26
5. ძირითადი საშუალებები 29
6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები 30
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები 31
8. გაცემული სესხები 32
9. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები 32
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 33
11. ნასესხები სახსრები 34
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 35
13. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 35
14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 36
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 36
16. სხვა საოპერაციო ხარჯები 36
17. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები 37
18. პირობითი ვალდებულებები 37
19. ფინანსური რისკის მართვა 39
20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება 43
21. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 44
22. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 45

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“ (შემდგომში – „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს-ი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2021 წლის წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

Building a better working world

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

Building a better working world

ჩვენ მართვის უფლებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგებები, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებებთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 10 ოქტომბერი

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქლს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,574	1,047	917
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	6	1,805	203	222
არამატერიალური აქტივები		15	–	–
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		60	59	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,454**	**1,309**	**1,139**
მიმდინარე აქტივები				
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		144	122	160
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	7,973	5,864	5,784
გაცემული სესხები	8	3,555	2,557	1,970
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	9	1,485	1,373	439
გადახდილი ავანსები		440	434	118
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა		–	7	–
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი		–	–	137
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7,571	2,187	2,025
სულ მიმდინარე აქტივები		**21,168**	**12,544**	**10,633**
სულ აქტივები		**24,622**	**13,853**	**11,772**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,900	2,900	2,900
გაუნაწილებელი მოგება		8,280	2,363	640
სულ კაპიტალი		**11,180**	**5,263**	**3,540**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები		1,352	58	–
საგარანტიო ანარიცხი		60	59	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები	13	376	143	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,788**	**260**	**–**
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	2,625	2,428	5,488
საიჯარო ვალდებულებები	6	438	145	269
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12	887	1,657	1,032
საგარანტიო ანარიცხი		144	122	160
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	18	1,409	1,687	896
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		96	11	34
სახელშეკრულებო ვალდებულებები	13	6,055	2,280	353
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**11,654**	**8,330**	**8,232**
სულ ვალდებულებები		**13,442**	**8,590**	**8,232**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**24,622**	**13,853**	**11,772**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 10 ოქტომბერს

პეტრე წაქაძე
დირექტორი

მარეხი ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,574	1,047	917
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები	6	1,805	203	222
არამატერიალური აქტივები		15	–	–
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		60	59	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,454**	**1,309**	**1,139**
მიმდინარე აქტივები				
გარანტიებთან დაკავშირებული აქტივები		144	122	160
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	7,973	5,864	5,784
გაცემული სესხები	8	3,555	2,557	1,970
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	9	1,485	1,373	439
გადახდილი ავანსები		440	434	118
საგადასახადო აქტივები, მოგების გადასახადის გარდა		–	7	–
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი		–	–	137
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	7,571	2,187	2,025
სულ მიმდინარე აქტივები		**21,168**	**12,544**	**10,633**
სულ აქტივები		**24,622**	**13,853**	**11,772**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,900	2,900	2,900
გაუნაწილებელი მოგება		8,280	2,363	640
სულ კაპიტალი		**11,180**	**5,263**	**3,540**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები		1,352	58	–
საგარანტიო ანარიცხი		60	59	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები	13	376	143	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,788**	**260**	–
მიმდინარე ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	11	2,625	2,428	5,488
საიჯარო ვალდებულებები	6	438	145	269
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	12	887	1,657	1,032
საგარანტიო ანარიცხი		144	122	160
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	18	1,409	1,687	896
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		96	11	34
სახელშეკრულებო ვალდებულებები	13	6,055	2,280	353
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**11,654**	**8,330**	**8,232**
სულ ვალდებულებები		**13,442**	**8,590**	**8,232**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**24,622**	**13,853**	**11,772**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 10 ოქტომბერს:

პეტრე წაქაძე
დირექტორი

მარეხი ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	13	58,073	30,889
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(48,978)	(25,097)
საერთო მოგება		**9,095**	**5,792**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,282)	(1,523)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები		(1,141)	(680)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		608	462
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(170)	(639)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		**6,110**	**3,412**
ფინანსური შემოსავალი	17	1,853	404
ფინანსური ხარჯები	17	(792)	(1,076)
მოგება დაბეგვრამდე		**7,171**	**2,740**
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		**7,171**	**2,740**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
მთლიანი სრული შემოსავალი		**7,171**	**2,740**

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	**2,900**	**640**	**3,540**
წლის მოგება	–	2,740	**2,740**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**–**	**2,740**	**2,740**
მშობელ კომპანიასა და შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები (მე-18 შენიშვნა)	–	(1,017)	**(1,017)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**2,900**	**2,363**	**5,263**
წლის მოგება	–	7,171	**7,171**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**–**	**7,171**	**7,171**
მშობელ კომპანიასა და შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები (მე-18 შენიშვნა)	–	(1,254)	**(1,254)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**2,900**	**8,280**	**11,180**

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		7,171	2,740
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების და გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთა	5, 6	1,021	551
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		1	–
ფინანსური გარანტიის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	18	(1,532)	(226)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ამოტრიალება) / ანარიცხი	9	(255)	347
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		(10)	(178)
საპროცენტო შემოსავალი	17	(321)	(178)
საპროცენტო ხარჯი	17	663	489
შემოსავალი საიჯარო ქირის შემცირებიდან	6	–	(22)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	17	76	551
ნაპატიები სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები		(4)	(7)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	7, 16	45	108
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**6,855**	**4,175**
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში		(234)	3,252
ცვლილებები საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებში, მოგების გადასახადის გარდა		92	244
ცვლილებები გადახდილ ავანსებში		(6)	(316)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(2,154)	(188)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში		(394)	(3,850)
ცვლილებები საგარანტიო ანარიცხში		23	21
ცვლილებები გარანტიებთან დაკავშირებულ აქტივში		(23)	(21)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ცვლილება		4,008	2,070
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**1,312**	**1,212**
გადახდილი მოგების გადასახადი		–	(137)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**8,167**	**5,250**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,219)	(873)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		251	594
არამატერიალური აქტივების შეძენა		(16)	–
გაცემული სესხები	8	(8,949)	(2,120)
გაცემული სესხების დაფარვა	8	7,344	2,071
მიღებული პროცენტი		302	41
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(2,287)**	**(287)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	6	(479)	(254)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	6	(184)	(15)
სესხის აღება	11	12,535	9,647
ნასესხები სახსრების დაფარვა	11	(11,668)	(13,759)
გადახდილი პროცენტი	11	(478)	(489)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(274)**	**(4,870)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(222)	69
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**5,384**	**162**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		2,187	2,025
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	**7,571**	**2,187**

9-45 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

არაფულადი ოპერაციები:

2021 წელს კომპანიას ჰქონდა გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივისა და საიჯარო ვალდებულებების არაფულადი შესყიდვები 2,172 ლარის (2020 წ.: 205 ლარი) ოდენობით (მე-6 შენიშვნა).

2021 წელს კომპანიამ გაქვითა გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები 208 ლარის ოდენობით (2020 წ.: 0 ლარი) (მე-8 შენიშვნა).

1. შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ („კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომერია 401950938. კომპანია დარეგისტრირდა 2010 წლის 11 ოქტომბერს და ის საქართველოში ფუნქციონირებს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #129.

კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს „თეგეტა მოტორსი“ („მშობელი კომპანია“), ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მოქალაქე თემურ კოხოძე.

კომპანია პორშეს და მაზდას ბრენდის ავტომობილების ოფიციალური იმპორტიორია საქართველოში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ზემოთ ხსენებული ბრენდის ავტომობილების იმპორტი, რეალიზაცია და გაყიდვის შემდგომი მომსახურება.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელის მიერ. მფლობელს უფლება აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს გამოშვების შემდეგ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

კომპანიის მიერ ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი. კომპანიამ ფასს სტანდარტები მიიღო ფასს (IFRS) 1-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება) შესაბამისად. კონკრეტული გამონაკლისების გათვალისწინებით, ფასს (IFRS) 1 მოითხოვს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ვერსიის რეტროსპექტულად გამოყენებას 2020 წლის 1 იანვარს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საწყისი ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებისას და ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

კომპანიას ადრე არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება სხვა საზოგადოდ მიღებული სააღრიცხვო პრინციპების გამოყენებით. შესაბამისად, იმის შედარება და განმარტება, თუ როგორ იმოქმედა წინა სააღრიცხვო სტრუქტურის ფასს სტანდარტებზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებზე, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრული არ არის.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან და გაწეული მომსახურებებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადადის კლიენტზე, ე.ი. როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს. ნორმალური საკრედიტო ვადაა საქონლის გადაცემის მომენტიდან 30-დან 90 დღემდე. შემოსავალი აღიარდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. კომპანია განსაზღვრავს ამგვარ ოპერაციებში ის პრინციპალის სახით გამოდის, თუ აგენტის, კლიენტისთვის მისი დაპირების ხასიათიდან გამომდინარე. კომპანიამ დაასკვნა, რომ ის არის პრინციპალი და შემოსავალს ბრუტო სახით აღრიცხავს, თუ ის აკონტროლებს დაპირებულ საქონელს, სანამ მათ კლიენტს გადასცემს. კომპანიამ ზოგადად დაასკვნა, რომ ის პრინციპალია შემოსავლების მომტან გარიგებებში, გარდა სააგენტო მომსახურებებისა, რადგან ის ტიპიურად აკონტროლებს საქონელს, მისი კლიენტზე გადაცემამდე.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება დროის განმავლობაში, მომსახურების სრულად დაკმაყოფილების მიმართ პროგრესის შესაფასებლად ამოსავალი მონაცემების მეთოდის გამოყენებით, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის მიერ მისთვის შეთავაზებულ სარგებელს.

კომპანია განიხილავს, არის თუ არა ხელშეკრულებაში ისეთი დაპირებები, რომლებიც წარმოადგენს ცალკე სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომელზეც უნდა გადანაწილდეს გარიგების ფასის ნაწილი (მაგ. გარანტიები, სხვ.). საქონლის გაყიდვის და მომსახურების გაწევის ოპერაციის ფასის განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს ცვლადი საზღაურების ეფექტებს.

(i) ცვალებადი ანაზღაურება

თუ ხელშეკრულებაში განსაზღვრული საზღაური ცვლად თანხას მოიცავს, კომპანია დაადგენს იმ საზღაურის თანხას, რომელზეც მას აქვს უფლება საქონლის კლიენტზე გადაცემის ან მისთვის მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. ცვალებადი ანაზღაურება განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებისას და შეზღუდულია, ვიდრე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ შემოსავლის მნიშვნელოვანი ამობრუნება აღიარებული ერთობლივი შემოსავლის ოდენობით არ მოხდება, როდესაც შესაბამის ცვალებად ანაზღაურებასთან დაკავშირებული განუსაზღვრებლობა საბოლოოდ აღმოიფხვრება. სათადარიგო ნაწილების გაყიდვის რამდენიმე ხელშეკრულება მომხმარებლებს აძლევს დაბრუნების და მოცულობის გამო ფასდაკლების უფლებას. უკან დაბრუნების უფლებები და მოცულობის გამო ფასდაკლებები ცვლად საზღაურებს წარმოშობს.

(ii) უკან დაბრუნების უფლებები

კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას. თანხის დაბრუნების ვალდებულება აღიარდება იმ საქონელთან მიმართებაში, რომელთა დაბრუნება მოსალოდნელია (ე.ი. თანხა, რომელიც არ არის შესული ოპერაციის ფასში). დაბრუნების უფლების მქონე აქტივი (და შესაბამისი ცვლილება გაყიდვის ფასებში) ასევე აღიარდება კლიენტების საქონლის აღდგენის უფლებაზე, რომელიც შესულია ფინანსური ანგარიშგების სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში.

(iii) მოცულობის გამო ფასდაკლება

კომპანია კონკრეტულ კლიენტებს სთავაზობს მოცულობის გამო რეტროსპექტულ ფასდაკლებას მას შემდეგ, რაც პერიოდის განმავლობაში შეძენილი პროდუქტების რაოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ნორმას. ფასდაკლებები გაიქვითება მომხმარებლის კრედიტორული ვალდებულების თანხით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

(iv) საგარანტიო ვალდებულება

კომპანია ჩვეულებრივ იძლევა გარანტიას დეფექტების გენერალურ რემონტსა და დაზიანებული ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, იმის რწმუნების უზრუნველსაყოფად, რომ გაყიდული პროდუქტები შეესაბამებოდეს შეთანხმებულ სპეციფიკაციებს. რწმუნების ტიპის გარანტიები აღირიცხება - ბასს (IAS) 37-ის *„ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“* შესაბამისად.

სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივები

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას კლიენტისთვის გადაცემული საქონლის ან მომსახურებების სანაცვლოდ მისაღებ საფასურზე. თუ კომპანია კლიენტს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს კლიენტის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება პირობითად მიღებული ანაზღაურებისთვის. კომპანია არ ფლობს სახელშეკრულებო აქტივებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას ანაზღაურების თანხაზე, რომელიც არ არის პირობითი (ანუ მხოლოდ დროის გასვლაა აუცილებელი ანაზღაურების გადახდის თარიღის დადგომამდე).

სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის ვალდებულებას, რომლისთვისაც კომპანიას კლიენტისგან მიღებული აქვს ანაზღაურება (ან გადახდა მომავალში მოხდება). თუ კლიენტი გადახდას განახორციელებს კომპანიის მიერ მისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემამდე, სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება მოხდება ღირებულების გადახდისას ან მისი გადახდის ვადის დადგომისას (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია გასწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავალსა და ხარჯებში შედის:

- საპროცენტო შემოსავალი;
- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე;
- საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- შემოსავალი ფინანსური გარანტიების ამობრუნებიდან;
- სხვა ფინანსური შემოსავალი და ხარჯი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

(დ) უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან კომპანიის მიერ აღირიცხება მის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალში გარდა იმ ფულადი მუხლებისა, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობაში კომპანიის წმინდა ინვესტიციების ჰეჯირებისთვის არის განკუთვნილი. ისინი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში წმინდა ინვესტიციების ჩამოწერამდე, როდესაც ხდება მთლიანი თანხის რეკლასიფიკაცია მოგება-ზარალში. სხვა სრულ შემოსავალში ასევე აისახება ამ ფულადი მუხლების საკურსო სხვაობებზე მიკუთვნებული დარიცხული გადასახადი და კრედიტები.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის გამოყენების განსასაზღვრად, ისეთი არაფულადი აქტივების ან არაფულადი აქტივებისა და არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანია თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. განაწილებული მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- როდესაც დებიტორული დავალიანებებისა და კრედიტორული ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ზ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები. სათადარიგო ნაწილების და სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ ხარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ავტომობილების თვითღირებულება განისაზღვრება სპეციფიკური იდენტიფიცირების საფუძველზე.

(თ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი. დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე ირიცხება, შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შედარებით და მოგება-ზარალში აღიარდება სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლების გზით.

ზოგადად, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესი პერიოდით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ კომპანია იჯარის ვადის ბოლოსთვის აქტივზე მფლობელობას მოიპოვებს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

- შენობა-ნაგებობები 10 წელი;
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 1-10 წელი;
- საოფისე აღჭურვილობა, ავტომობილები და სხვ. 1-7 წელი.

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

სესხით სარგებლობის დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობის დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობის ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობის დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც კომპანია გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის კომპანიისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით („შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია საკუთარ ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებსა და გაცემულ სესხებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში ფლობილი თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო დეპოზიტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

გაცემული სესხებისა და ფინანსური გარანტიებისთვის, მოსალოდნელია, რომ საკრედიტო დავალიანება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ან დეფოლტს გამოიწვევს კრედიტის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესების შემდეგ, რაც განისაზღვრება, როგორც კონტრაგენტების საკრედიტო რეიტინგის გაუარესება თავდაპირველი აღიარებიდან ორი პოზიციით, ან საკრედიტო რეიტინგის დადგენა ‘Ca’ ან ნაკლებ დონეზე. კომპანიას ყველა სესხი და გარანტია გაცემული აქვს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე, შესაბამისად, მათი დაფარვა ყოველთვის არ შეესაბამება შეთანხმებულ გრაფიკს და შესაძლოა გამოიწვიოს ხელშეკრულების რამდენიმეჯერ გახანგრძლივება და რესტრუქტურიზაცია. შესაბამისად, კომპანია ვადაგადაცილებულ დღეებს არ მიიჩნევს საკრედიტო რისკის ან გაუფასურების მნიშვნელოვნად გაზრდის ტრიგერად. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-4 შენიშვნა;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები - მე-9 შენიშვნა;
- გაცემული სესხები - მე-8 შენიშვნა;

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე. უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდას შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, ნასესხებ სახსრებს, საიჯარო ვალდებულებებსა და ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

სესხები და ნასესხები სახსრები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით. ეს კატეგორია ზოგადად ეხება ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები

კომპანიის მიერ გაცემული ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებებია კონტრაქტები, რომლებიც მოითხოვს გარანტიის მფლობელის ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო. ისეთი ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისი სასესხო ხელშეკრულებების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება თავდებობის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯებით. ამის შემდეგ ვალდებულება აღიარდება საანგარიშგებო თარიღში ფასს (IFRS) 9-ის მოთხოვნებით შეფასებული მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და კუმულაციური ამორტიზაციით შემცირებულ თავდაპირველად აღიარებულ თანხას შორის უმაღლესით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო მონაცემები და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემები.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში განმეორებად საფუძველზე აღრიცხული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, კომპანია განსაზღვრავს ჰქონდა თუ არა ადგილი იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის კომპანიაში მფლობელებმა შეიტანეს.

(ნ) ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები მოიცავს ფულად სახსრებს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან ანაბრებს, რომელთა ვადაც სამი თვე ან უფრო ნაკლებია, რაც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან და მოკლევადიანი ანაბრებისგან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება კომპანიის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ო) ანარიცხები

ზოგადი ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

საგარანტიო ანარიცხები და დაკავშირებული აქტივი

კომპანია გასცემს გარანტიებს გენერალური რემონტის და დეფექტური ერთეულ(ებ)ის გამოცვლაზე, ასევე მწარმოებლის სპეციფიკაციების შეუსაბამო პროდუქტების გამოცვლაზე. ან რწმუნებულების მსგავს გარანტიებთან დაკავშირებული ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც იყიდება პროდუქტი ან კლიენტს გაეწევა მომსახურება. თავდაპირველი აღიარება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. გარანტიის თავდაპირველი შეფასებისას, ყოველწლიურად გადაისინჯება დაკავშირებული ხარჯები.

კომპანია განცალკევებით აღიარებს გარანტიასთან დაკავშირებული აქტივს, მწარმოებლისგან საგარანტიო ანაზღაურების უფლების აღრიცხვის მიზნით, როდესაც ანაზღაურება პრაქტიკულად განხორციელებადია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(პ) იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია საიჯარო ვალდებულებებს აღიარებს საიჯარო გადახდების და აქტივის გამოყენების უფლებისთვის, რაც საბაზისო აქტივების გამოყენების უფლებას წარმოადგენს.

კომპანია სხვადასხვა ოფისს, საწყობს, ავტოსადგომს და მომსახურების ობიექტებს, შოურუმებსა და სხვა მოწყობილობებს იღებს იჯარით. საიჯარო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ ფიქსირებული პერიოდით - 2 თვიდან 6 წლამდე ფორმდება.

(i) აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, შემდგომ თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და ერგება საიჯარო ვალდებულებების კონკრეტულ გადაფასებას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადასახდელების თანხას, ნებისმიერი მიღებული საიჯარო ინიციატივების გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგი სახით:

- შენობა-ნაგებობები 1-დან 6 წლამდე;

თუ საიჯარო აქტივის საკუთრების უფლება გადადის კომპანიაზე საიჯარო პერიოდის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები ნაწილში (კ) - არაფინანსური აქტივების გაუფასურება.

(ii) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღში, კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადასახდელები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს), რასაც აკლდება ნებისმიერი საიჯარო შეღავათების დებიტორული დავალიანება, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების საფუძველზე. საიჯარო გადასახდელები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლებით სარგებლობის ღირებულებას, რომელიც გონივრულ ფარგლებში მიიჩნევა კომპანიის მიერ გამოყენებულად და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტისთვის, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიას, რომელიც იყენებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(პ) იჯარა (გაგრძელება)

რამდენიმე ქონების იჯარა მოიცავს ცვლად გადახდის პირობებს, რომლებიც, თავის მხრივ მაღაზიიდან გენერირებულ გაყიდვებს უკავშირდება. ცვლადი საიჯარო გადასახდელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით (სანამ მათი გაწევა არ ხდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების საწარმოებლად) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი პროცენტი მარტივად ვერ განისაზღვრება. დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადასახდელებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება გადაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რომელიც წარმოიშვება ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებიდან) ან საბაზისო აქტივის ნასყიდობის შეფასების შესაძლებლობის ცვლილებას.

აქტივის გამოყენების უფლებაც და საიჯარო ვალდებულებებიც ინდივიდუალური ერთეულების სახით არიან წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(iii) მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას შენობების, საოფისე ტექნიკის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით.

3. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს (IFRS) 17-ის ცვლილება - *სადაზღვევო ხელშეკრულებები:* აღიარება და შეფასება, წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება.
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში - *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად.*
- „კონცეპტუალური მიდგომა“ - *ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება.*
- „ძირითადი საშუალებები: „შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - *ბასს (IAS) 16-ის ცვლილება.*
- „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - *ბასს (IAS) 37-ის ცვლილება.*
- ფასს (IFRS) 1 - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი კომპანიები, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.
- *ფასს (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები* - გადასახდელები „10-პროცენტიანი“ ტესტის ფარგლებში, ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის.
- ბასს (IAS) 41 „*სოფლის მეურნეობა*“ - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში.
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება.
- სააღრიცხვო პოლიტიკებთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობების ან გარიგებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება - მომსახურების ტიპის გარანტიების განცალკევებული სარეალიზაციო ფასის შეფასება

კომპანია მომხმარებლებს უზრუნველყოფს მომსახურების ტიპის გარანტიებით. ეს საგარანტიო მომსახურება ან ცალკე იყიდება, ან გაყიდულ საქონელთან ერთად.

კომპანიამ განსაზღვრა, რომ ზემოთ აღწერილი საქონელი და მომსახურებები შესაძლოა განცალკევებული იყოს. შესაბამისად, კომპანიამ გარიგების ფასის ნაწილი გადაანაწილა საქონლის გაყიდვაზე და მომსახურებების გაწევაზე, ფარდობითი ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასების მიხედვით. კომპანია ხელშეკრულებაში მოცემული კონკრეტული საქონლის ან მომსახურების თითოეული შესასრულებელი ვალდებულების საბაზისო სარეალიზაციო ფასს განსაზღვრავს ხელშეკრულების დაწყებისთანავე და გარიგების ფასს ამ განცალკევებული ფასების პროპორციულად ანაწილებს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის კომპანია ორ მეთოდს იყენებს - ინდივიდუალური და კოლექტიური შეფასების მეთოდებს. ინდივიდუალური მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მნიშვნელოვან კონტრაგენტებთან და დაკავშირებულ მხარეებთან.

კოლექტიურ მეთოდში კომპანია იყენებს ანარიცხის მატრიცას სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე.

ანარიცხების მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება კომპანიის განვლილ ხილულ გადაუხდელობის განაკვეთს. კომპანია მოახდენს მატრიცის დაკალიბრებას საკრედიტო ზარალის გამოცდილების საპროგნოზო ინფორმაციაზე მორგების მიზნით. თითოეული ანგარიშგების თარიღში, ახლდება წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები მომავალზე ორიენტირებულ შეფასებებში.

კომპანიის საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილება და საპროგნოზო ეკონომიკური პირობები შესაძლოა ასევე არ იყოს მომავალში კლიენტის ფაქტიური დეფოლტირების განმსაზღვრელი. ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ კომპანიის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებსა და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გაცემული სესხები

გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად ფასდება, მსესხებლის შიდა საკრედიტო რეიტინგის გათვალისწინებით, კონკრეტული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. კომპანიის ზარალის რეზერვს აფასებს 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით სესხის გაცემისას. გაცემული სესხები, რომლისთვისაც 12-თვიანი საკრედიტო ზარალია აღიარებული, ფინანსური ინსტრუმენტების 1-ელ ეტაპად განისაზღვრებიან. 1-ელი ეტაპის გაცემულ სესხებზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ისინი არ არიან გაუფასურებული. იმის განსასაზღვრად, გაცემული სესხების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შემდეგ, კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მსესხებლის შიდა საკრედიტო რეიტინგს ითვალისწინებს. თუ შიდა რეიტინგი დაღმავალია, კომპანია აკვირდება მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და გამოავლენს გაცემულ სესხებს, რომლებიც მე-2 ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტებად მოიხსენიება მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას. მშობელი კომპანიის შვილობილი კომპანიებისთვის საკრედიტო რეიტინგი თავად მშობლისას ემთხვევა.

თუ კომპანიას აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მსესხებელს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები აქვს ან სავარაუდოა, რომ მსესხებელი გაკოტრდება ან იქნება სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის საგანი, შესაბამისი ინსტრუმენტი გაუფასურებულად ჩაითვლება და ის ‘მე-3 ეტაპის ფინანსურ ინსტრუმენტად’ განისაზღვრება.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები მოიცავს შემდეგი ცვლადი მონაცემების პირობების სტრუქტურას:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება (EAD).

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დეფოლტის შემთხვევაში შესაძლო ზარალის მაჩვენებელი. კომპანია იყენებს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების პარამეტრებს „Moddy’s“-ის მიერ გამოქვეყნებული დეფოლტირებული კონტრაგენტების მიმართ წაყენებული მოთხოვნების სტატისტიკური აღდგენის მაჩვენებლების საფუძველზე. 1-ელ ეტაპზე გაცემულ ყველა სესხზე გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების 45%. გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტზე მსგავსების დასაანგარიშებლად გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იმავე სესხის დაუფარავი პრინციპის სახით.
2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკავშირდება მშობელ და დურ კომპანიებს და ისინი ფინანსური ინსტრუმენტების 1-ელ ეტაპს განეკუთვნებიან. შესაბამისად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი არაარსებითია.

საგარანტიო ვალდებულება და აქტივები

ანარიცხი აღიარდება წლის განმავლობაში გაყიდულ პროდუქტებზე მოსალოდნელი საგარანტიო მოთხოვნებისთვის, ნაწილების გამოცვლის და შეკეთების განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ანარიცხი წარმოადგენს მოცულობების დონის, პროდუქციის ასორტიმენტის და შეკეთებისა და გამოცვლის თვითღირებულების წარსული გამოცდილების საფუძველზე განხორციელებულ შეფასებას და ის საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით გაყიდულ საქონელზე კომპანიის ვალდებულების შესასრულებლად საჭირო თანხების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას წარმოადგენს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარა საგარანტიო ანარიცხი 204 ლარის (2020 წ.: 181 ლარი და 2020 წლის 1 იანვარს: 160 ლარი) ოდენობით. კომპანიამ ასევე ასახა შესაბამისი აქტივი 204 ლარის (2020 წ.: 181 ლარი და 2020 წლის 1 იანვარს: 160 ლარი) ოდენობით, შესაბამისი მწარმოებლებისგან ამგვარი საგარანტიო ვალდებულებების ანაზღაურების მისი სახელშეკრულებო უფლების აღიარების მიზნით.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ავტომობილები	სხვა	სულ
თვითღირებულება	–	334	827	1,435	**2,596**
დაგროვილი ცვეთა	–	(253)	(301)	(1,125)	**(1,679)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	**–**	**81**	**526**	**310**	**917**
შესყიდვები	15	129	714	15	**873**
გასვლები	–	–	(519)	–	**(519)**
ცვეთის ხარჯი	(1)	(41)	(135)	(150)	**(327)**
გაყიდვაზე დაგროვილი ცვეთა	–	–	103	–	**103**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**14**	**169**	**689**	**175**	**1,047**
თვითღირებულება	15	463	1,022	1,450	**2,950**
დაგროვილი ცვეთა	(1)	(294)	(333)	(1,275)	**(1,903)**
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**14**	**169**	**689**	**175**	**1,047**
შესყიდვები	12	100	910	197	**1,219**
გადატანა - თვითღირებულება	65	–	–	(65)	–
გასვლები	–	(127)	(265)	(11)	**(403)**
ცვეთის ხარჯი	(5)	(54)	(262)	(130)	**(451)**
გაყიდვაზე დაგროვილი ცვეთა	–	106	45	11	**162**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	**86**	**194**	**1,117**	**177**	**1,574**
თვითღირებულება	92	436	1,667	1,571	**3,766**
დაგროვილი ცვეთა	(6)	(242)	(550)	(1,394)	**(2,192)**
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	**86**	**194**	**1,117**	**177**	**1,574**

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მოგება-ზარალში აღიარებული ცვეთის თანხები:

	2021	2020
რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში შესული	65	52
საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შესული	386	275
სულ ცვეთის ხარჯი	**451**	**327**

2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა საბალანსო ღირებულებით 280 ლარი (2020 წ.: 183 ლარი და 2020 წლის 1 იანვარს: 81 ლარი) წარმოადგენდა მესამე პირთა სესხების უზრუნველყოფის საგანს (იხილეთ მე-18 შენიშვნა).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში ექსპლუატაციაში მყოფი და სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 1,703 ლარს (2020 წ.: 585 ლარი და 2020 წლის 1 იანვარი: 532 ლარი).

6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიის გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები სრულად წარმოდგენილია მიწისა და შენობა-ნაგებობების კატეგორიაში.

	მიწა და შენობა-ნაგებობები
თვითღირებულება	917
დაგროვილი ცვეთა	(695)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 1 იანვარს	**222**
შესყიდვები	205
ცვეთის ხარჯი	(224)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**203**
თვითღირებულება	1,122
დაგროვილი ცვეთა	(919)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	**203**
შესყიდვები	2,172
ცვეთის ხარჯი	(570)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,805**
თვითღირებულება	3,294
დაგროვილი ცვეთა	(1,489)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,805**

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	**203**	**269**
შესყიდვები	2,172	205
პროცენტის დარიცხვა	184	15
გადახდები	(663)	(269)
კოვიდ-19-ით გამოწვეული შემოსავალი საიჯარო ქირის დათმობიდან	–	(22)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ეფექტი	(106)	5
31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,790**	**203**
მიმდინარე	438	145
გრძელვადიანი	1,352	58

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი განხილულია მე-19 შენიშვნაში.

6. გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

	2021	2020
საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შესული გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთის ხარჯი (მე-15 შენიშვნა)	570	224
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-17 შენიშვნა)	184	15
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ეფექტი	(106)	5
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები (მე-15 შენიშვნა)	5	40
კოვიდ-19-ით გამოწვეული შემოსავალი საიჯარო ქირის დათმობიდან	–	(22)
მოგება-ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	**653**	**262**

2021 წელს კომპანიას იჯარებზე ჰქონდა მთლიანი ფულადი ნაკადები 668 ლარის ოდენობით (2020 წ.: 309 ლარი).

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
გადასაყიდად გამიზნული საქონელი (თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი)	3,668	3,838	1,191
საქონელი გზაში (თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი)	4,199	1,880	4,475
სხვა (თვითღირებულებით)	106	146	118
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	**7,973**	**5,864**	**5,784**

2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები 7,973 ლარის (2020 წ.: 5,864 ლარი და 2020 წლის 1 იანვარს: 5,784 ლარი) ოდენობით, წარმოადგენს კომპანიის მიერ მესამე პირებისგან აღებული სესხების უზრუნველყოფის საგანს (იხილეთ მე-18 შენიშვნა).

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერა მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე და აღირიცხა სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში 45 ლარის (2020 წ.: 108 ლარი) ოდენობით (იხილეთ მე-16 შენიშვნა).

ხარჯის სახით აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება იყო შემდეგი:

	2021	2020
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	48,070	24,543
სხვა საოპერაციო ხარჯები	83	52
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	175	74
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	5
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება	**48,336**	**24,674**

8. გაცემული სესხები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
მშობელ კომპანიაზე გაცემული სესხი (21-ე შენიშვნა)	650	1,347	1,970
დურ კომპანიებზე გაცემული სესხები (21-ე შენიშვნა)	1,942	1,210	–
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სხვა საწარმოებზე გაცემული სესხები (21-ე შენიშვნა)	963	–	–
სულ გაცემული სესხები	**3,555**	**2,557**	**1,970**

მოძრაობა გაცემულ სესხებში იყო შემდეგი:

	2021	2020
1 იანვარს	**2,557**	**1,970**
გაცემული სესხები	8,949	2,120
გაცემული სესხების დაფარვა	(7,344)	(2,071)
მიღებული პროცენტი	(282)	(22)
საპროცენტო შემოსავალი	301	159
ვალდებულებების ურთიერთგაქვითვა	(208)	–
საკურსო სხვაობიდან მიღებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა	(418)	401
31 დეკემბერს	**3,555**	**2,557**

9. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,592	1,735	454
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(107)	(362)	(15)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	**1,485**	**1,373**	**439**

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში შესული ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით არის შემდეგი:

	მიმდინარე	<30 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-360 დღე	>360 დღე	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	1,281	22	146	28	3	112	**1,592**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	6	7	2	92	**107**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	0%	4,11%	25%	66,67%	82,14%	**6,72%**

9. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში შესული ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით არის შემდეგი:

	მიმდინარე	<31 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-360 დღე	>360 დღე	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	28	157	802	71	489	188	**1,735**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	45	14	181	122	**362**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	0%	5,61%	19,72%	37,01%	64,89%	**20,86%**

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებში შესული ფინანსური აქტივების ანალიზი საკრედიტო ხარისხის მიხედვით არის შემდეგი:

	მიმდინარე	<31 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-360 დღე	>360 დღე	სულ
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული შეფასებული მთლიანი ღირებულება	46	191	36	–	167	14	**454**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	4	–	–	11	**15**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	0%	0%	11,11%	0%	0%	78,57%	**3,30%**

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხში შემდეგია:

	2021	2020
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 1 იანვარს	**362**	**15**
(ამოტრიალება)/ხარჯი წლის განმავლობაში	(255)	347
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერს	**107**	**362**

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	7,564	2,187	2,013
ნაღდი ფული სალაროში	7	–	12
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**7,571**	**2,187**	**2,025**

კომპანია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითად ნაშთებს ფლობს საქართველოს კომერციულ ბანკში, რომელსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ ‘BB-’ რეიტინგი.

2021 წელს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 20 ლარი (2020 წ.: 19 ლარი) შეადგინა.

11. ნასესხები სახსრები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
მიღებული სესხები - ძირი	2,608	2,413	5,457
მიღებული სესხები - დარიცხული პროცენტი	17	15	31
სულ ნასესხები სახსრები	**2,625**	**2,428**	**5,488**

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ორიგინალი ვალუტა	ხელშეკრულების/ ცვლილების თარიღი	დაფარვის თარიღი	გამსესხებელი	ნაშთი
იაპონური იენი	2021	2022	ქართული კომერციული ბანკი	2,625
				2,625

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ორიგინალი ვალუტა	ხელშეკრულების/ ცვლილების თარიღი	დაფარვის თარიღი	გამსესხებელი	ნაშთი
ევრო	2020	2021	ქართული კომერციული ბანკი	1,496
იაპონური იენი	2020	2021	ქართული კომერციული ბანკი	932
				2,428

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული დაუფარავი სესხები 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ორიგინალი ვალუტა	ხელშეკრულების/ ცვლილების თარიღი	დაფარვის თარიღი	გამსესხებელი	ნაშთი
ევრო	2019	2020	ქართული კომერციული ბანკი	1,419
იაპონური იენი	2019	2020	ქართული კომერციული ბანკი	4,069
				5,488

ინფორმაცია აქტივების შესახებ, რომლებიც საბანკო სესხების უზრუნველყოფის საგანს წარმოადგენენ, და განხილვები ვალდებულებებთან შესაბამისობის თაობაზე მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ნასესხები სახსრების მოძრაობა ასე გამოიყურებოდა:

	2021	2020
1 იანვარს	**2,428**	**5,488**
სესხის აღება	12,535	9,647
საპროცენტო ხარჯი	479	474
გადახდილი პროცენტი	(478)	(489)
ძირი თანხის დაფარვა	(11,668)	(13,759)
საკურსო სხვაობიდან მიღებული (შემოსულობა)/ზარალი, წმინდა	(671)	1,067
31 დეკემბერს	**2,625**	**2,428**

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	617	1,438	764
დარიცხული სახელფასო ვალდებულება	243	196	249
ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხი	15	15	15
სხვა	12	8	4
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	**887**	**1,657**	**1,032**

13. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2021	2020
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	57,176	30,271
შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან	897	618
სულ შემოსავალი	**58,073**	**30,889**

2021 წლის განმავლობაში საქონლის გადაცემა მოხდა დროის გარკვეულ მომენტში, ხოლო მომსახურების გაწევა - დროის განმავლობაში.

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	1,485	1,373	439
სახელშეკრულებო ვალდებულებები - გრძელვადიანი ნაწილი	376	143	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მიმდინარე ნაწილი	6,055	2,280	353

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

სახელშეკრულებო ვალდებულებები ითვლება კლიენტებისგან მიღებულ საზღაურად და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, ამ კლიენტებს საქონელი გადასცეს.

6,055 ლარის ოდენობით კომპანიის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება შემოსავლად მოსალოდნელია 2022 წელს. ეს სახელშეკრულებო ვალდებულებები უკავშირდება საანგარიშგებო თარიღში დაუკმაყოფილებელ შესასრულებელ ვალდებულებებს. 2021 წელს, კომპანიამ შემოსავლის სახით აღიარა 2,280 ლარი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში აღრიცხული იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაწილში.

სახელშეკრულებო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი მთლიანად უკავშირდება კომპანიის მიერ გაყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ტიპის გარანტიებს.

14. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
დროის კონკრეტულ მონაკვეთში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(48,033)	(24,528)
დროის განმავლობაში გაწეული მომსახურების თვითღირებულება:		
პერსონალის ხარჯები	(516)	(218)
შესყიდული მომსახურებები	(256)	(211)
ცვეთის ხარჯი (მე-5 შენიშვნა)	(65)	(52)
გამოყენებული მასალები	(37)	(15)
სხვა ხარჯები	(71)	(73)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	**(48,978)**	**(25,097)**

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
პერსონალის ხარჯები	(619)	(626)
გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივების ცვეთის ხარჯი (მე-6 შენიშვნა)	(570)	(224)
ცვეთა და ამორტიზაცია	(387)	(275)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(342)	(159)
საოფისე ხარჯი	(124)	(70)
პროფესიული მომსახურება	(102)	(35)
სამივლინებო ხარჯი	(28)	(25)
მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(5)	(40)
სხვა ხარჯები	(105)	(69)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(2,282)**	**(1,523)**

16. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი (მე-9 შენიშვნა)	–	(347)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე (მე-7 შენიშვნა)	(45)	(108)
ელექტრო დამტენების მონტაჟის ხარჯები	–	(54)
სხვა	(125)	(130)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	**(170)**	**(639)**

17. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	321	178
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა (მე-18 შენიშვნა)	1,532	226
სულ ფინანსური შემოსავალი	**1,853**	**404**

	2021	2020
საპროცენტო ხარჯი (მე-11 შენიშვნა)	(479)	(474)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-6 შენიშვნა)	(184)	(15)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(76)	(551)
სხვა	(53)	(36)
სულ ფინანსური ხარჯები	**(792)**	**(1,076)**

18. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმებისა და საურავების დაკისრების უფლება.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

დაგირავებული აქტივები

ქვემოთ მოცემული აქტივები დაგირავებული იყო ბანკებისგან ნასესხები სახსრების უზრუნველყოფის საგნის სახით:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
მიწა და შენობა-ნაგებობები (მე-5 და მე-11 შენიშვნები)	86	14	–
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა (მე-5 და მე-11 შენიშვნები)	194	169	81
სასაქონლო-მატერიალური მარაგები (მე-7 და მე-11 შენიშვნები)	7,973	5,864	5,784

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თავდებობები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ გააფორმა თავდებობის ხელშეკრულება ქართულ კომერციულ ბანკთან. გარანტიის ფარგლებში, კომპანია იძლევა მისი მშობელი კომპანიის და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების შესრულების გარანტიას ბანკის მიმართ მათ სესხებთან დაკავშირებით. კომპანია არ კისრულობს მესამე პირის თავდებობას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი თავდებობები გაიცა ათასი აშშ დოლარის ოდენობით და ისინი ლარშია წარმოდგენილი:

ემიტენტი	ბენეფიციარი – დაკავშირებული მხარეები	ვალუტა	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
კომპანია	მშობელი კომპანია	აშშ დოლარი	464,640	821
კომპანია	შპს „ტოიოტა ცენტრი თეგეტა“	აშშ დოლარი		204
კომპანია	შპს „თეგეტა ავტომოტივ იმპორტი“	აშშ დოლარი		192
კომპანია	შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“	აშშ დოლარი		117
კომპანია	შპს „თეგეტა პრაიმ პროდაქტს“	აშშ დოლარი		69
კომპანია	შპს „თი-ბი-ეი თეგეტა“	აშშ დოლარი		6
	სულ		**464,640**	**1,409**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი თავდებობები გაიცა ათასი აშშ დოლარის ოდენობით და ისინი ლარშია წარდგენილი:

ემიტენტი	ბენეფიციარი – დაკავშირებული მხარეები	ვალუტა	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
კომპანია	მშობელი კომპანია	აშშ დოლარი	163,830	1,541
კომპანია	შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“	აშშ დოლარი		146
	სულ		**163,830**	**1,687**

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შემდეგი თავდებობები გაიცა ათასი აშშ დოლარის ოდენობით და ისინი ლარშია წარდგენილი:

ემიტენტი	ბენეფიციარი – დაკავშირებული მხარეები	ვალუტა	მაქსიმალური რისკი	ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებების წმინდა საბალანსო ღირებულება
კომპანია	მშობელი კომპანია	აშშ დოლარი	143,385	823
კომპანია	შპს „თეგეტა თრაქ ენდ ბას“	აშშ დოლარი		73
	სულ		**143,385**	**896**

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიის მიერ გაცემული თავდებობების მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2021	2020
1 იანვარს	**1,687**	**896**
წლის განმავლობაში გაცემული ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	1,254	1,017
შემოსულობა ხელახალი შეფასებიდან	(1,532)	(226)
31 დეკემბერს	**1,409**	**1,687**

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება

კომპანია კონკრეტული გარანტიების საგანს წარმოადგენს, რომლებიც უმეტესად მის საბანკო სესხებს უკავშირდება (იხილეთ მე-11 შენიშვნა). ამ პირობების დაუკმაყოფილებლობას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოჰყვეს კომპანიისთვის, მათ შორის ნასესხები სახსრების თვითღირებულების ზრდა და დეფოლტის შემთხვევის გამოცხადება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია შეესაბამებოდა ყველა სახელშეკრულებო ვალდებულებას, გარდა ქართული კომერციული ბანკის სასესხო ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული ფინანსური ვალდებულებისა, რომლისგანაც კომპანიას მიღებული აქვს ნებართვის წერილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა კომპანიის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. კომპანიას აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, ფინანსური დაწესებულებების მიმართ მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და გაცემული სესხები.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო, სავალუტო, ლიკვიდურობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკებს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაბრებიდან გამომდინარე.

კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე აქტივების კლასების მიხედვით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მე-9 შენიშვნა)	1,485	1,373	439
გაცემული სესხები (მე-8 შენიშვნა)	3,555	2,557	1,970
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-10 შენიშვნა)	7,571	2,187	2,025
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	**12,611**	**6,117**	**4,434**

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

გაუფასურების ანალიზი ხდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებელი ანარიცხის მატრიცის გამოყენებით, ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე. დაანგარიშება ასახავს ვარაუდზე დაფუძნებულ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი. ზოგადად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები ჩამოიწერება, თუ ისინი ერთ წელზე მეტი პერიოდით არის ვადაგადაცილებული და არ წარმოადგენენ სამართალგამოყენების საგანს. კომპანია ჩვეულებრივ არ ფლობს უზრუნველყოფის საგნებს ან აკრედიტივებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს დაუფარავი სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს ვადიანობის შესახებ და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის მე-9 შენიშვნაში წარმოდგენას.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან სამომხმარებლო პორტფელი დივერსიფიცირებულია დიდი რაოდენობით კერძო და იურიდიულ პირ მომხმარებლებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს ზარალის მნიშვნელოვანი რისკი ფინანსურ ანგარიშგებებში უკვე აღრიცხული ანარიცხების მიღმა.

მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიან ანაბრებზე განთავსებული ფულადი სახსრები

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაბრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანებების სტატუსიც.

გაცემული სესხები

სესხები გაცემულია საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ პირებზე. გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება აღწერილია მე-4 შენიშვნაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ დანაკარგის მნიშვნელოვანი რისკი არ არსებობს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკები წარმოიშობა (ა) უცხოური ვალუტის და (ბ) პროცენტიანი ვალდებულებების ღია პოზიციებიდან, რომლებიც ბაზარზე ზოგად და სპეციფიკურ მოძრაობას ექვემდებარება. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკების მიმართ, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული, ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, ყველა სხვა კოეფიციენტის მუდმივ დონეზე შენარჩუნებით. პრაქტიკაში ეს სავარაუდო არ არის და რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილება შესაძლოა უკავშირდებოდეს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებს.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

კომპანია სავალუტო რისკს გასწევს იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის, ნასესხები სახსრების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („₾“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო და იაპონური იენი. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2021 წლის 31 დეკემბერი			2020 წლის 31 დეკემბერი			2020 წლის 1 იანვარი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	1,342	(1,810)	**(468)**	1,353	(16)	**1,337**	158	(206)	**(48)**
ევრო	6,541	(505)	**6,036**	4,372	(2,798)	**1,574**	3,241	(2,006)	**1,235**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა, სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ, კომპანიის საბრუნავ ვალუტასთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია ყველა სხვა ცვლადს მუდმივ პოზიციაში შეინარჩუნებს:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(47)	134	(5)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	47	(134)	5
ევროს 10%-იანი გამყარება	604	157	124
ევროს 10%-იანი გაუფასურება	(604)	(157)	(124)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ბაზარზე ძირითადი საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა.

ყველა პროცენტიან სესხს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და შესაბამისად კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

კომპანია უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები სამი თვის განმავლობაში. ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც კრედიტორული ვალდებულებების თანხა არ არის ფიქსირებული, ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის. თანხები ბრუტო და არადისკონტირებულ საფუძველზეა წარმოდგენილი, მოიცავს მოსალოდნელ საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ხელშეკრულებების ურთიერთჩათვლის გავლენას.

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	288	1,966	408	–	–	**2,662**
საიჯარო ვალდებულებები	52	104	424	1,540	–	**2,120**
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	143	108	318	1,289	–	**1,858**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	887	–	–	–	–	**887**
სულ მომავალი გადახდები	**1,370**	**2,178**	**1,150**	**2,829**	**–**	**7,527**

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	19	1,275	1,170	–	–	**2,464**
საიჯარო ვალდებულებები	12	24	109	72	–	**217**
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	631	211	417	588	–	**1,847**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,657	–	–	–	–	**1,657**
სულ მომავალი გადახდები	**2,319**	**1,510**	**1,696**	**660**	**–**	**6,185**

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	566	1,092	4,041	–	–	**5,699**
საიჯარო ვალდებულებები	24	49	216	–	–	**289**
ფინანსური თავდებობის ხელშეკრულებები	117	126	138	686	–	**1,067**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,032	–	–	–	–	**1,032**
სულ მომავალი გადახდები	**1,739**	**1,267**	**4,395**	**686**	**–**	**8,087**

კაპიტალის მართვა

კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები), და ფინანსური ვალდებულებებისთვის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ფიქსირებულგანაკვეთიანი ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკისა და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელი დონით არის შეფასებული.

21. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	675	–	712
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხი	–	–	(66)
გადახდილი ავანსები	–	–	100
გაცემული სესხები	650	–	2,905
საიჯარო ვალდებულებები	(1,719)	–	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	–	–	(29)
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	(821)	–	(588)
გასაცემი ხელფასები	–	(150)	–

2020 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	252	3	736
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხი	–	–	(300)
გადახდილი ავანსები	50	–	352
გაცემული სესხები	1,347	–	1,210
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	–	–	(15)
სახელშეკრულებო ვალდებულებები	–	–	(134)
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	(1,541)	–	(146)
გასაცემი ხელფასები	–	(106)	–

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	14	3	198
გამოკლებული: გაუფასურების ზარალის ანარიცხი	–	(2)	(4)
გაცემული სესხები	1,970	–	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(67)	–	(16)
საიჯარო ვალდებულებები	(138)	–	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები	–	–	(1)
მშობელ კომპანიასა და მის შვილობილ კომპანიებზე გაცემული ფინანსური თავდებობები	(823)	–	(73)
გასაცემი ხელფასები	–	(138)	–

* სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად მოიცავს კომპანიის მესაკუთრესთან დაკავშირებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებს, დური კომპანიების ჩათვლით.

21. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
საქონლის რეალიზაცია	1,374	–	1,738
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	14	1	66
საიჯარო შემოსავალი	–	–	16
საქონლის გადასაყიდად შეძენა	(37)	–	(955)
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	(244)	–	(286)
პერსონალის ხარჯები	(1)	(296)	(15)
საპროცენტო შემოსავალი	134	–	167
საპროცენტო ხარჯი	–	–	(3)
ფინანსური გარანტიის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	1,386	–	146

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მშობელი კომპანია	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები*
საქონლის რეალიზაცია	561	77	1,084
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	98	3	6
საქონლის გადასაყიდად შეძენა	(237)	–	(125)
ძირითადი საშუალებების და მომსახურებების შეძენა	(191)	–	(15)
საიჯარო გადასახდელები	(158)	–	(21)
პერსონალის ხარჯები	–	(247)	(11)
საპროცენტო შემოსავალი	126	–	33
ფინანსური გარანტიის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	226	–	–

* სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად მოიცავს კომპანიის მესაკუთრესთან დაკავშირებულ იურიდიულ და/ან ფიზიკურ პირებს, დური კომპანიების ჩათვლით.

22. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი კომპანიის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიის საქმიანობაზე გავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა ზოგადად გავლენის სიმძლავრესთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს ანგარიშგების პერიოდის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

„შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“

2021 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 10 ოქტომბერი

პეტრე წაქაძე
დირექტორი

მარეხი ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

„შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“

2021 წლის
მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 10 ოქტომბერი

პეტრე წაქაძე
დირექტორი

მარეხი ბერიძე
მთავარი ბუღალტერი

სარჩევი

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია....3
გარემოს დაცვის მენეჯმენტი....3
„კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები....4
კორპორატიული მართვა....4
საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში....5
ბიზნესი და ოპერაციები....6
სამომავლო გეგმები....7
„თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ ფინანსური ინფორმაცია....8
ფინანსური შედეგების მიმოხილვა....8
კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება....9

„კომპანიის“ მიმოხილვა და ისტორია

შპს თეგეტა პრემიუმ ვიიქელს-ის მიმოხილვა

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ (შემდგომში „კომპანია“) გერმანული ბრენდი Porsche-ს და იაპონური ბრენდი Mazda-ს ოფიციალურ იმპორტიორი და ავტორიზებული სერვის-ცენტრია საქართველოში.

შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი" დაარსდა 2010 წელს და არის "თეგეტა მოტორსის" შვილობილი კომპანია. კომპანია 2011 წელს გახდა პრემიუმ კლასის ავტომობილის Porsche-ს ოფიციალური იმპორიოტი, შესაბამისად, მომხმარებელს აწვდის ყველა იმ სიახლეს, რომელსაც პორშე მსოფლიოს სთავაზობს.

კომპანია 2011 წელს ასევე გახდა იაპონური ბრენდის Mazda-ს ოფიციალური წარმომადგენელი და ბაზარზე წარმოდგენილია ბრენდის სრული სამოდელო რიგით.

კომპანიის, როგორც Porsche-სა და Mazda-ს ოფიციალური წარმომადგენლის, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: 1) Porsche, Mazda ბრენდების უახლესი მოდელების ავტომობილების იმპორტირება და რეალიზაცია; 2) გაყიდვების შემდგომი მომსახურება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ორიგინალი ავტოსათადარიგო ნაწილების, აქსესუარების მიწოდებას და ავტო ტექ.მომსახურებას სერთიფიცირებული პერსონალით.

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელს“-ის სერვის ცენტრი რეგიონის მასშტაბით ელექტრო ავტომობილების სერვისის პირველ ჰაბს წარმოადგენს.

კომპანიას 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული ჰყავდა 30 ადამიანი.

გარემოს დაცვის მენეჯმენტი

კომპანიის მისიაა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ გაუფრთხილდეს და ზიანი არ მიაყენოს გარემოს, რისთვისაც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მიმართულებით წარმოქმნილი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას.

გარემოს დაცვის მიმართულებით კომპანიის მიზანია:

- ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და შიდა პროცესების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;
- პერსონალის კვალიფიკაციის, მოტივაციისა და გაცნობიერების/ჩართულობის ამაღლება;
- ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების დაცვა;
- მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირების მუდმივი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულებით რისკების შემცირება.

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“, როგორც თეგეტა მოტორსის შვილობილი კომპანია, ზრუნავს საკუთარ იმიჯზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოპოვებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი საქმიანობიდან და სოციალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ის ვალდებულებას იღებს, ადგილობრივი საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემა და მისი ფუნქციონირების ეფექტურობა, რაც ძირითად საფუძველს წარმოადგენს შიდა მოხმარების ბუნებრივი რესურსების გაფრთხილებისა და მაქსიმალურად დაზოგვისათვის.

„კომპანიის“ წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის" საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა, შესაძლოა, მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები - სავალუტო რისკები.

კომპანია საკრედიტო რისკს გასწევს იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის, სესხების ვალუტებისა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლარი“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უმეტესწილად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო და იაპონური იენი. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია გარიგებები აშშ დოლარსა და ევროში. [1]

კორპორატიული მართვა

არსებული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით, შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ დედა კომპანიამ - „თეგეტა მოტორსმა“ ითანამშრომლა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) და მიიღო სიღრმისეული რეკომენდაციები კორპორაციული მართვის კუთხით და მიღებული რეკომენდაციები დანერგა შვილობილ კომპანიებშიც. მენეჯმენტის განცხადებით, კომპანიაში განსაზღვრულია კორპორაციული მართვის სხვადასხვა პროცესები, რომლებიც არეგულირებს მარაგების, სავაჭრო მოთხოვნების და ვალდებულებების მართვას, ხელშეკრულებების და ახალი პროექტების მენეჯმენტს.

2020 წელს „თეგეტა მოტორსი“ კორპორატიული მართვის ახალ მოდელზე გადავიდა, რაც გულისხმობს ბიზნეს საქმიანობის მართვას მსხვილი სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით. მართვა ფაქტობრივად ამ სტილით მიმდინარეობდა, თუმცა ამ დროისთვის სრულად ფორმალიზებული და დოკუმენტურად გაწერილია პროცესი.

ამ დროისთვის „თეგეტა მოტორს“ ჯგუფის მართვის სტრუქტურა მართვის უმაღლეს ორგანოდ პარტნიორთა კრებას განსაზღვრავს. ჯგუფში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ჯგუფის საქმიანობის სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლებით. ჯგუფს ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული ოთხი სტრატეგიული მიმართულების დირექტორი:

1. მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების დირექტორი;
2. კომერციული იმპორტების და საერთაშორისო ვაჭრობის დირექტორი;
3. ადგილობრივი გაყიდვების ოპერაციების დირექტორი;
4. აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორი, სატვირთო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დირექტორი;


„თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ სწორედ მსუბუქი ავტომობილების გაყიდვების მიმართულების ქვეშ ხვდება.

[1] დეტალური ინფორმაცია კომპანიის მიერ ფინანსური რისკების მართვის შესახებ მოცემულია 2021 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საავტომობილო პარკის მიმოხილვა საქართველოში[2]

ავტოპარკი საქართველოში ყოველწლიურად იზრდება. ზრდის მაჩვენებელი 2021 წელს წინა წელთან შედარებით 5.8% იყო. 2021 წლის მდგომარეობით ავტომობილების 62.5% მსუბუქია, 19.9% მსუბუქი მაღალი გამავლობის (SUV), 7% სატვირთო, 3.6% სამგზავრო, 2.5% სასოფლო-სამეურნეო, ხოლო დანარჩენი 4.5% წარმოადგენს მოტოტრანსპორტს, სპეციალიზებულ ავტოტრანსპორტს და სხვა ტიპის ავტოტრანსპორტს. 4 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 2.5%-ს შეადგენს, 4-6 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის მხოლოდ 3%-ს შეადგენს, ხოლო 20 წელზე მეტი ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის 51.4%-ს შეადგენს.

ხოლო პირველადი რეგისტრაციების მიხედვით ავტომანქანების დაყოფა შემდეგნაირია:



რაც შეეხება იმპორტირებული ავტოპარკის ასაკობრივ შეფასებას:

1 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები იმპორტირებული ავტოპარკის მხოლოდ 5.5%-ს შეადგენს, 1-3 წლამდე ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები იმპორტირებული ავტოპარკის მხოლოდ 5.3%-ს შეადგენს, 4-6 წლის 15.1%-ს, 7-10 წლამდე - 43%, 3,5%-ს შეადგენს 11-20 წლის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ხოლო 20 წელზე მეტი ასაკის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ავტოპარკის 43%-ს.
რაც შეეხება ახალი ავტომობილების რეგისტრაციის დინამიკას, 2021 წელს +38.6%-ია 2020 წელთან შედარებით.
2020 წლის ახალი მსუბუქი ავტომობილების გაყიდვებში პორშეს მარკის ავტომობილების წილი 1.52% ბაზარზე, ხოლო მაზდას მარკის ავტომობილების - 2.18%.

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ბიზნესი და ოპერაციები

შპს "თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი" ამ ეტაპზე მომხმარებელს სთავაზობს უახლესი მოდელების ავტომობილებს, მხოლოდ ორიგინალ ავტოსათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებს და ავტო ტექ.მომსახურებას.

კომპანია 2021 წლის განმავლობაში ბაზარზე წარმოდგენილი იყო შემდეგი სამოდელო ხაზით:

- Porsche Cayenne/Cayenne Coupe (S/GTS, Plug-in hybrid, Turbo/Turbo S Hybrid);
- Porsche Macan /S/GTS
- Porsche Panamera / Panamera sport Turismo (4/4S/GTS, Plug-in Hybrid, Turbo/Turbo S Hybrid);
- Porsche Taycan 4S/Turbo/Turbo S;
- Porsche 718 Cayman/Boxster (S/GTS);
- Porsche 911 Coupe /Cabrio (S/4S/GTS/Turbo/Turbo S);
- Mazda 3;
- Mazda 6;
- Mazda CX3
- Mazda CX30;
- Mazda CX5;
- Mazda CX9;
- Mazda MX5;
- Mazda MX 30

აღსანიშანვია, რომ 2021 წელს პორშეს სამოდელო რიგს დაემატა პირველი სრულიად ელექტრო ავტომობილი:

- Porsche Taycan Cross Turismo;
- განახლდა Porsche Panamera;

2022 წელს სამოდელო რიგს დაემატება:

- Porsche Taycan GTS;
- Porsche 911 GT3 RS;
- Porsche 911 GT3;
- Porsche Cayenne GT

ხოლო განახლდება:

- Mazda CX5;

გარდა ავტომობილების გაყიდვებისა, კომპანია მომხმარებლებს ასევე სთავაზობს ავტო სათადარიგო ნაწილებს, საბურავებს, ზეთებს, აკუმულატორებს, საავტომობილო აქსესუარებს. ასევე სთავაზობს მსუბუქი ავტომობილების სერვისის სრულ სპექტრს შემდეგი ტიპის ავტომობილებზე:

- ბენზინის ძრავი;
- დიზელის ძრავი;
- ჰიბრიდული ძრავი;
- ელექტრო ავტომობილი;

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ სერვისის თანამშრომლები პერიოდულად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს Porsche-ს სტანდარტების შესაბამისად და კურსის წარმატებით გავლისას ენიჭებათ შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი და გრადაცია, რომელიც 3 წელიწადში ერთხელ უნდა განახლდეს. ასევე, პორშე ცენტრი თბილისის სერვისი ფასდება პორშეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ოფისის რეგიონალური მენეჯერის მიერ ან მათ მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი აუდიტის მიერ. შეფასება ხდება ყოველწლიურად და ფასდება სერვისში ბიზნეს პროცესები. კომპანიის სერვის ცენტრი აღჭურვილია უახლესი დანადგარებით და კორპორატიულ და საცალო მომხმარებელს ავტორიზებული პროგრამების საშუალებით ავტოტექმომსახურების სრულ ასორტიმენტს სთავაზობს, რაც მოიცავს:

- ვულკანიზაცია;
- სავალი ნაწილის შეკეთება;
- ელ. სისტემის დიაგნოსტირება და შეკეთება;
- ძრავის დიაგნოსტირება და შეკეთება;
- თვლების შეყრის გასწორება;
- დისკების გასწორება;
- ძრავში ზეთის შეცვლა;
- ავტომატურ კოლოფში ზეთის შეცვლა;
- წინა მაშუქების გასწორება სტენდზე;
- გადაცემათა კოლოფის შეკეთება;
- საწვავი სისტემის დიაგნოსტირება და შეკეთება;
- სამღებრო და სათუნუქე სამუშაოები;
- რეცხვა;

2021 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

2021 წელს, მიუხედავად გართულებული ლოჯისტიკური პირობებისა და მანქანების დეფიციტებისა, გაიყიდა მანქანების რეკორდული რაოდენობა.

2021 წელს კომპანიამ ელექტრო მანქანების პოპულარობის გაზრდის მიზნით დაამონტაჟა ელექტრო დამტენები საქართველოს 4 რეგიონში.

2021 წელს კომპანიამ დაიწყო Porsche-ს და Mazda-ს მეორადი ავტომობილების ბიზნესის განვითარება.

2021 წელს კომპანიამ Porsche-ს მარკის ავტომობილებისთვის დანერგა პირველი ქართული კონფიგურატორი, სადაც მომხმარებელს შეუძლია ააწყოს სასურველი მოდელი.

2021 წელს კომპანიამ დაიწყო ბიზნეს პროცესების დიჯიტალიზაცია;

2021 წელს დაიწყო Porsche-ს ავტომობილების შოურუმის რეკონსტრუქცია.

სამომავლო გეგმები

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსი“ 2022 წლის განმავლობაში მიზნად ისახავს:

- Mazda-ს მარკის ავტომობილებით კორპორატიულ ორგანიზაციებთან არსებული რესურსის უფრო მეტად ათვისება და პოზიციის გამყარება.
- CRM (მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი) ტექნოლოგიის განახლებას, რომლის მიზანია არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან ურთიერთობის უკეთესი მართვა, შემდგომ ბიზნესის შედეგების გასაზრდელად.
- Online Shop – ის დანერგვა.
- ბიზნეს პროცესების გამარტივებას და დიჯიტალიზაციას; რიგების მართვის სისტემის დანერგვას;
- ლოიალობის ბარათის დანერგვას;

- Porsche-ს მარკის ავტომობილების შოურუმის სრულ რეკონსტრუქციას/გაფართოებას, ახალი სერვის ცენტრის აშენებას და Mazda-ს მარკის ავტომობილებისთვის ახალი შოურუმის აშენებას.

„თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ ფინანსური ინფორმაცია

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი 2021 და 2020 ფისკალური წლების ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორულად შემოწმებულია დიდი ოთხეულის წევრი აუდიტორული კომპანიების მიერ.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

შემოსავლები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

2021 წელს შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ რეალიზაციამ 58.073 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 88%-ით მეტია 2020 წლის შედეგზე (30,889 მილიონი ლარი). საერთო მოგებამ 2021 წელს 9.095 მილიონი ლარი შეადგინა, რითაც 2020 წლის მონაცემებს 57%-ით აჭრობა. პანდემიის დროს და შემდგომ პერიოდში მოთხოვნა ავტომობილებზე კომპანიას არ შემცირებია, შესაბამისად, აგრძელებს გაყიდვების ზრდას და ამან განაპირობა შემოსავლის და მარჟის კიდევ უფრო ზრდა.

(ათას ლარში)	2021	2020
შემოსავლები	**58,073**	**30,889**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(48,978)	(25,097)
საერთო მოგება	**9,095**	**5,792**
საერთო მოგების მარჟა	**15.7%**	**18.8%**

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

2021 წელს საოპერაციო მოგებამ 6.110 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 79% -ით მეტია 2020 წლის საოპერაციო მოგებაზე.

(ათას ლარში)	2021	2020
შემოსავლები	**58,073**	**30,889**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(48,978)	(25,097)
საერთო მოგება	**9,095**	**5,792**
სხვა საოპერაციო შემოსავლები	608	462
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,282)	(1,523)
კომერციული ხარჯები	(1,141)	(680)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(170)	(639)
საოპერაციო მოგება	**6,110**	**3,412**
საოპერაციო მოგების მარჟა	**11%**	**11%**

საოპერაციო მოგების გაზრდა, პირველ რიგში, გამოწვეულია გაყიდული მანქანების და, შესაბამისად, მარჟის ზრდით, ასევე არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებითა და საოპერაციო ხარჯების დაზოგვით.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2021 წელს გაიზარდა 50%-ით და 2.282 მილიონი ლარი შეადგინა. 2020 წელს ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 1.523 მილიონ ლარს შეადგენდა. ხოლო კომერციული ხარჯი (2021 წ.: 1.141 მილიონი ლარი) 68%-ით მეტია 2020 წლის ხარჯთან შედარებით. კომერციული ხარჯის ზრდა განპირობებულია გაყიდვების მკეთრი ზრდით და პანდემიის დასრულებით, რამაც საშუალება მისცა კომპანიას 2020 წელთან შედარებით მეტი მარკეტინგული კამპანია განეხორციელებინა.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (ათას ლარში)	2021	2020
პერსონალის ხარჯი	(619)	(626)
ცვეთა გამოყენების უფლებით გადმოცემულ აქტივებზე	(570)	(224)
ცვეთა და ამორტიზაცია	(387)	(275)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(342)	(159)
საოფისე ხარჯი	(124)	(70)
პროფესიული მომსახურებები	(102)	(35)
სამივლინებო ხარჯი	(28)	(25)
საიჯარო ხარჯი მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე	(5)	(40)
სხვა ხარჯები	(105)	(69)
სულ	**(2,282)**	**(1,523)**

ფინანსური შემოსავალი / (ხარჯი) და წმინდა მოგება

შპს „თეგეტა პრემიუმ ვიიქელსის“ ფინანსური ხარჯი წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს კომპანიის საკრედიტო ვალდებულებებზე. 2021 წელს საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი 86%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, რაც გამოწვეულია ეროვნული ვალუტის გამყარების გამო ვალუტაში არსებული ვალდებულებების შემცირებით.

(ათას ლარში)	2021	2020
შემოსავლები	**58,073**	**30,889**
საოპერაციო მოგება	**6,110**	**3,412**
საპროცენტო შემოსავალი	321	178
საპროცენტო ხარჯი	(663)	(489)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	(76)	(551)
ფინანსური თავდებობის ხელახალი შეფასებით მიღებული შემოსულობა	1,532	226
საკომისიო ხარჯები	(53)	(36)
მოგება დაბეგვრამდე	**7,171**	**2,740**
მოგების გადასახადის შეღავათი / (ხარჯი)	-	-
წმინდა მოგება	**7,171**	**2,740**
წმინდა მოგების მარჟა	**12%**	**9%**

კომპანიის პასუხისმგებელი პირების განცხადება

კომპანიის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობასა და მოგება-ზარალს.

ასევე, წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს კომპანიის საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.